№ 8 12 იანვარი, ხუთშაბათი 1866–1878 12 იანვარი, ხუთშაბათი № 8

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: **Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".**

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1878 წელს გაზეთი

„დროება"

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მომავალ წელსაც „დ რ ო ე ბ ა" მუდამ დღე გამოვა,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების" რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში).

გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Д р о э б а".*

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„ „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება. უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

შიპკა, 11 იანვარს. ეს არის მომივიდა ღენ. სტრუკოვის მოხსენება, რომ იმის ჯარებს თოფის გაუსროლელად დაუჭირავს ქალაქი ადრიანოპოლი. მცხოვრებლები კმაყოფილნი არიან, რადგან ჩვენმა ჯარებმა ბაშიბუზუკებისაგან დაიცვა ისინი. ხვალ მე თვითონ მივდივარ ადრიანოპოლში და 14-ს იქ ვიქნები.

შიპკა, 9—10 იანვარს. აი დაწვრილებული ამბავი 4-სა და 5 იანვრის ბრძოლისა:

დერმენდერისაკენ 3-ს იანვარს განდევნილი ოსმალოს ჯარი სულ 35 ტაბორი იყო ფუად-ფაშის წინამძღოლობით, რომელმანც 24 ტაბორი შუმლიდამ მოიყვანა.

4 იანვარს ღენ. გურკომ გრაფ შუვალოვს უბრძანა, რომ დერმენდერთან გაჩერებულ მტერზე იერიშით მივიდეს. ამავე დროს ღენ. დანდევილს მისცა ბრძანება, რომ უკნიდამ შემოუაროს მტერს. გრაფ შუვალოვი ყადიკიოსა და აირაკლის გზით მივიდა მტრის პოზიციასთან და ღამით 5 იანვარს დერმენდერის პირ-და-პირ გაჩერდა თავის ჯარით. მეორე დღეს ღენ. კრასნოვიც მივიდა აქ თავის გვარდიითა. ამ დღეს დილიდამვე შეიქნა სროლა, და ერთ ალაგას 18 ზარბაზანი დაატოვებინეს ჩვენებმა მტერს. მაგრამ მალე ოსმალოებს ახალი ჯარები მოუვიდათ და, თუმცა ჩვენის მხრით საშინელი სროლა იყო, მაგრამ მაინც ხმალ-და-ხმალ ჩაერიენ ჩვენებს იმ განზრახვით, რომ ზარბაზნები ისევ უკან წაერთმიათ. მაგრამ აქ ერთხელ კიდევ დამარცხებული იყვნენ და ამის შემდეგ მთებისაკენ გაიქცნენ.

ცოტა ხანს შემდეგ ოსმალოებს კიდევ ახალი ჯარები მოუვიდათ და ხელ-ახლად შეგროვდნენ და დაგვეცნენ. მაგრამ ერთხელ კიდევ დაამარცხეს ჩვენებმა.

ერთი ფაშა, რომელსაც ჩვენები გარს შემოეხვივნენ, არ დაგვნებდა, ლომივით იბრძოდა და სანამ არ მოჰკლეს, 15 კაცი მოგვიკლა და დაგვიჭრა.

ღამით ოსმალოებმა მიატოვეს დერმენდერი და მარკოვო და ბელისტიცთან დაბანაკდნენ. ჩვენებმა თავის პოზიციაზე გაათიეს ღამე.

5 იანვარს, დილით, ღენ. გურკოსა და დანდევილის ატრიადები შეერთდნენ.

ოსმალოები ამ დღესაც კიდევ ორჯერ დაეცნენ ჩვენებს, მაგრამ ორივეჯერ უკუ-ქცეულ იყვნენ. ბოლოს ღენ. დანდევილისა და შუვალოვის ატრიადებმა ბელის ტილიდამაც განდევნეს მტერი და 28 ზარბაზანი დაატოვებინეს.

სრული გამარჯვება იყო; გაფანტული მტერი მთებისაკენ გაიქცა, ენიკიოისა და ლესკოვის იქით. ამ დღესა და 6-საც ჩვენი ჯარი მისდევდა მტერს.

ომის ამბები

ეს მესამე დღეა, არც სამზღვარ გარეთისა და არც რუსეთის ფოშტა არ მოგვსვლია, რადგან, როგორც შოჩტის გამგეობა გვაცნობებს, კავკასიის მთებიდამ კობისა და გუდაურის სტანციებს შუა თოვლი ჩამოწოლილა და გზა გაუფუჭებია. ამის გამო მკითხველი მოგვიტევებს, რომ დღევანდელს გაზეთში ბრძოლის თაობაზე ბევრს ახალ ამბებს ვერ ნახავს.

აზიის ბრძოლის ველიდამ

ოზურგეთიდამ მოგვივიდა შემდეგი ამბავი:

„ხუც-უბნიდამ ჩამოსულები ამბობენ, რომ იქითკენ ამჟამად დიდი თოვლია და ამის გამო მტრის დამათვალიერებელი და მოყარაულე ჯარი ძალიან შეწუხებულები არიანო. ავათმყოფობა თუმცა ისე აღარ არის იქ დაყენებულ ჯარში მოდებული, მაგრამ ახლაც სამყოფად არისო.

„რაც შეეხება სამხედრო მოქმედებას, ამ ჟამად ჩვენი და მტრის ჯარები ჯერჯერობით თავიანთ პოზიციებზე დგანან და ერთმანეთს შესჩერებიან. ციხის-ძირი და ქვირიკე ძალიან გამაგრებული აქვთ ოსმალოებს და იმდენი ჯარებიცა ჰყავთ, რომ ჩვენ აქედამ ვერას დავაკლებთ, თუ არდანუჯიდამ არ მოგვეშველა ღენ. კომაროვის ატრიადი; მაგრამ იქითაც ძალიან ღრმა თოვლს და ცუდ დღეებს ამბობენ.

„ჩვენი და მტრის ჯარები მდ. კინტრიშის გაღმა-გამოღმა დგანან ამ ჟამად და ხშირად ერთმანეთში ტკბილ მასლაათსა და საუბარს მმართავენ ხოლმე..."

თფილისელი კორრესპონდენტი გაზეთის „Presse“-ისა იწერება:

„ომიანობის დაწყებისა-თანავე, კავკასიის სომხებმა იყიდეს ქალაქებში და სოფლებში დიდძალი პური და საშინლად ასწიეს ფასი. მაგრამ, სამხედრო მთავრობის განკარგულებით, ახლა პურს ტაქსა დაუნიშნეს და ვინც კი დანიშნულ ფასზედ მომეტებულად ჰყიდის, სამართალში აძლევენ.“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

წასულს ნომერში დაბეჭდილის დეპეშებიდამ შეიტყობდით, რომ რუსის ჯარები უახლოვდებიან ადრიანოპოლს და ეს ქალაქი თითქმის სრულებით მიუტოვებიათ ოსმალოებს: ღუბერნატორი და ყველა ჯარები გასულან აქედამ. ჯარები პირ-და-პირ სტამბოლში დაბრუნდნენო, ამბობენ უცხო ქვეყნის გაზეთები.

ამნაირად ამ ორ-სამ დღეში ჩვენ რუსებისაგან ადრიანოპოლის დაჭერის ამბავსაც უნდა მოველოდეთ, და მერე კი სტამბოლამდინ რუსის ჯარს მტერი ვეღარ გააჩერებს.

მაგრამ, როგორც ამას წინათაც ვსთქვით, უეჭველია, სტამბოლამდინ არ მიუშვებენ რუსებს, რადგან ახლა მორიგებაზედ არის ლაპარაკი და როგორც იქნება მებრძოლნი მორიგდებიან.

—

პლევნოს არმიის დატყვევების დროს, სხვათა შორის, დატყვევებული იყო აგრეთვე ოსმან-ფაშის ჯარის შტაბის უფროსიც თევფიკ-ფაშა.

ერთს რუმინის გაზეთში იწერებიან ახლა, რომ ამ თევფიკ-ფაშამ ტურნ-მაგურელში თავი მოიკლაო. მიზეზს იმას ამბობენ, რომ პლევნოს არმიის დაღუპვას იმაზე ისეთი საშინელი ზედმოქმედება ჰქონდა და ისე დაალონა ამ გარემოებამაო, რომ ვერ მოითმინა და სირცხვილს თავის მოკვლა ამჯობინაო.

ამბობენ, რომ ეს თევფიკ-ფაშა ახალგაზდა და ერთი ნიჭიერთაგანი ღენერალი იყო ოსმალოს არმიაშიო.

—

გაზეთს „Голосъ“-ს სწერენ სისტოვოდამ, რომ მდ. დუნაი ისეთნაირად გაყინაო, რომ ჯარები და ურმები ყინულზედ გადადის ახლაო.

—

მორიგების თაობაზე

„დროების“ წინანდელ ნომერში მოყვანილი იყო ლონდონის გაზეთში „Daily Telegraph“-ში დაბეჭდილი ცნობა მორიგების პირობების თაობაზე.

ამ გაზეთის სიტყვით ოსმალეთი თანახმაა, რომ ბათუმი თავისუფალ ნავსადგურად გახადოს, ყარსამდინ თავის სამფლობელო დაუთმოს რუსეთს, დაანგრიოს ყარსისა და არზრუმის ციხეები და სერბია და რუმინია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიაროს.

რუსეთი კი ბათუმის თავისთვის დათმობას თხოულობს და დარდანელის წყალში მარტო რუსისა და ოსმალოს ხომალდებისათვის თავისუფლად მსვლელობის ნებას.

ეს ისეთი პირობებია, რომლის მიღება მაინცა-და-მაინც არ გაუჭირდება ოსმალეთს და კიდეც რომ გაუჭირდეს, მეტი რა გზა აქვს ახლა, როდესაც რუსები ადრიანოპოლს იჭერენ და თვითონ სტამბოლსაც ემუქრებიან.

ვნახოთ—რას იტყვის ამაზე ინგლისი

— ვენიდამ მოვიდა ამბავი, რომ „აღმოსავლეთის კითხვის“ დასაბოლოებლად ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან კონგრესი შესდგებაო.

მაგრამ ამას წინათ იწერებოდნენ, რომ თ. ბისმარკი, ე. ი. გერმანია, წინააღმდეგია ამ კონგრესისაო.

— „პეტერბურღის უწყებებში“ იწერებიან ბერლინიდამ, რომ საფრანგეთი, იტალია და გერმანია წინააღმდეგი არიანო, რომ ინგლისმა სუეცის არხი დაისაკუთროსო.

საქართველო

დღიური

*** ჩვენს სასულიერო სემინარიის მთავრობას ისევ ძველებურად დაუწყია შაგირდების უმიზეზოთ გამოჰყრა ამ სასწავლებლიდამ: სხვათა შორის ამ რამდენიმე დღის წინათ ორი შაგირდი გამოურიცხავთ, როგორც გვითხრეს, სულ უბრალო მიზეზით.

*** ვანქის უბნელები ყველაზე უფრო უჩივიან ქურდობასა და ქურდებ; ისე დღე არ გავაო, რომ ამ უბანში ერთი ქურდობა მაინც არ მოხდესო; ამ დღეებში, სხვათა შორის, ერთს ვილაცა ავათმყოფ დედაკაცთან შეცვივნულან, გამოუტანიათ რაც რამ ჰქონია და წასულან.

*** ახალქალაქიდამ გვწერენ, რომ მთელი ქალაქი ემდურის ჩვენს ექიმს უფ. იულსკისაო, რომელიც, როცა ვინმე დაიპატიჟებს ავათმყოფთან, სანამ ფეხს მოიცვლიდეს შინიდამ, ჯერ „ვიზიტის ფულის წარმოდგენას“ მოითხოვსო და მერე იქნება წავიდეს და ნახოს ავათმყოფიო. ახალქალაქელების ფულით აფთიაქი აქვს გამართული, მაგრამ წამლებს არავის აძლევსო. იქაური შკოლის ზედამხედველს უფ. თ—ოვს ისე მოკვდომია შვილი, რომ ხსენებულ ექიმმა ერთხელ არ აღირსა თურმე იმის ნახვა.

ფელტონი

ხუთი შემთხვევა

(ზღაპრული ამბავი)

იყო მშვენიერი დილა. ახლათ ამოსულს მზეს მოეფინა თავის ვერცხლებრივი სხივები დედა-მიწის პირზე. საამურათ მოისმოდა ზევიდამ ბულბულის ხმა, თითქოს საქართველოს ბუნებას აქებდა... მწყერი კი დამალულიყო დამწიფებულ პურში, როგორც გლეხი მიწურ დარბაზში...

აი ამ დროს გამოვეთხოვე ჩემ სამშობლო ბინას და გავჰსწიე თფილისისკენ. მაგრამ ბედმა არ მიმახწევინა იქამდის და დაუდექი მცხეთაში ერთ მედუქნეს მოჯამაგირეთ. ამან ჩამაბარა ორი ჯორი და ერთი აქლემი ნახშირის საზიდავათ დილმის ტყიდამ და ქალაქში გასასყიდათ.

გავიკეთე ცული წელში და გავსწიე სანახშირეზე. ავედი, ავჰკიდე და წამოველ. დილმის მინდორზე რომ მოვედი, აკი ღმერთი გასწყრომია ჩემ ეშმაკსა და ცული არ დამიკარგამს!

დავიწყე ტირილი, თანაც აქეთ-იქით ცქერა იმ აზრით, რა არი ვიპოვო რამე და ზედ გამოვაბა ეს პირუტყვები და მე ცულის საძებნელათ წავიდე—მეთქი. მაგრამ, ჩემ-და-საუბედუროთ, ბალახიც ვერ ვჰპოვე ისეთი, რომელსაც შესძლებოდა დამაგრება ამ პირუტყვებისა. მცირე ფიქრს შემდეგ დავაჩოქე აქლემი და უნაგირზე გამოვაბი აქეთ-იქით ეს ჯორები მოკლეთ, იმედით, რომ აქლემი არ წამოდგება და ჯორებიც არსად წავლენ ჩემ მოსვლამდის..

მაგრამ ისეთი სურათი თქვენმა მტერმა ნახოს, როგორი სურათიც მე ვნახე დაბრუნების შემდეგ: თურმე წამომდგარა ეს ჩემი ცოდვით სავსე აქლემი და ზედკი ჩამოუხვრჩვია აქეთ-იქით ჯორები ღვინით სამსე ტიკებივითა!.. წარმოიდგინეთ—რა სანახავი იქნებოდა ჩემთვის ეს სურათი!.

×

ისევ შევუდექი სამშობლო გზასა, რადგანაც ძვირათ დამიჯდებოდა ამ საქონლის გადახდა. ჩემ ალასთან წავედი, მაგრამ ისეთი წვიმა და ავდარი დამიდგა, რომ მეტი არ შეიძლებოდა.

ამ ცუდ დარში და ვაი-ვაგლახში ძლივს მივედი ღამით სოფელ ძეგვს, სადაც ყველას ეძინათ, გარდა ერთი ოჯახისა, რომლის კარებზედაც მივედი და შევძახე:

— ქართველო, სტუმრის მოყვარე! კარი გამიღე, ღვთის სტუმარი გეწვიე!

— რა ვქნათ, ძმავ, ღვთის სტუმარი კი ხარ, მაგრამ შენი მიღება კი არ შეგვიძლიან, რადგანაც მელოგინე გვყავს სახლში შეწუხებული და ბებია კი არა გვყავს და თუ ბებიას მოგვგვრი, მემრე კი მიგიღებთ ბოსელში! მითხრა ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა

მეტი რა ღონე მქონდა, უნდა მომეყვანა ბებია, რომელიც იმათვე მასწავლეს.

მივედი იმ ბებიასთან და ვსთხოვე წამოსვლა გაჭირებულთან, მაგრამ უარი მითხრა ავდრის გამო, რადგანაც სიარული არ შეეძლო. დიდის ხვეწნის შემდეგ იძულებული შევიქენ ზურგზე ამეკიდნა ის ბებია და ისე წამომეყვანა ალაგზე, და ისეცა ვქენი: ავიკიდე და მომყავს; გამოვიარე ერთ კალოს პირზე და მომინდა დასვენება; მივედი ერთ თეთრ ქვასთან და უთხარი:—დედი, დედი, ერთი ამ ქვაზე დადექი, მინდა დავისვენო-მეთქი, და უშვი ხელები... მაგრამ ისე შენმა მტერმა დაისვენოს როგორც

საგაასო

თელაველ კორრესპონდენტს— „მოამბეს“

პატივცემულო რედაქტორო! თქვენის გაზეთის № 208-ში მე მე წავიკითხე თელავიდგან გამოგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიდაც ავტორი ეხება ჩემს პირადობას; რადგანაც ვალი მაქვს, სიმართლე, უწმინდურს ხელში გასვრილი, აღვადგინო, გთხოვთ ამას მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს „დროებაში.“

„ბუშინ ერთმა გლეხმა ილაპარაკა, რომ ნაფარეულში ჰყოლიათ ერთი მასწავლებელი 300 მანეთი ჯამაგირით. ჯამაგირი თურმე უკლებლათ ეძლევა, მაგრამ იმის სამაგიერო სარგებლობა კი არა მოუტანიარა სოფლის შვილებისათვის. წინაღმდეგ ამისა უფრო ზარალი მიუცია იმით, რომ სასწავლებლისათვის დაქირავებულს სახლში წელიწადში იხდის სოფლის საზოგადოება 56 მანეთს და შიგ კი სწავლა არ არის. ამ წლის განმავალობაში არცერთი შაგირდი არ ყოფილა მკოლაში,მაგრამ ეს მასწავლებელი იმისთანა მოხერხებული კი ყოფილა, რომ ამ ცოტა ხანში იმ სასწავლებლის დასახედავათ მისულა იქ დირექტორი და რომ მასწავლებელი არ გამოსულიყო იმასთან პირშავათ, ამის გამო იმას, ერთი დღის წინათ დირექტორის მოსვლამდის, შეეგროვებინა ის შეგირდები, რომელთაც უსწავლიათ შარშან და ისინი უჩვენებია წლევანდელ მოსწავლეებათ.“

რადგანაც ძალიან საინტერესოა თქვენთვის, უ. „მეამბე,“ გაგება ნაფარეულის სასწავლებლის და მისი მასწავლებლის ეითარებაები, ვასრულებ თქვენს სურვილს და გიამბობთ სრულს ჭეშმარიტებას:

1877 წლის 8-ს იანვრიდგან—მაისადმდე ჩვენს სასწავლებელში სწავლობდნენ 13 ვაჟი და ოთხი ქალი. როგორც ყოველს სასწავლებლებში—ჩვენშიაც ზაფხულში არ იყო სწავლა. 1 ენკენისთვიდგან წელს დიდო-ლეკების აჯანყების გამო შეშინებულმა საზოგადოებამ (თუმცა ბევრ გზის ურჩიეე) არ დაიჭირეს სასწავლებლისთვის სახლი და მე რაჰოდენიმე ხანი ვასწავლიდი შეგირდებს ჩემის ჯამაგირით დაჭერილს საკუთარს სახლში.

ყველა და თქვენც გაიგებდით, რომ 29 ენკენისთვეს დაეცა ლეკები ნაფარეულის თავში თ. ა. ჯ—ის [ს]საქონელს და წაასხეს; ამ შემთხვევის გამო სრულიად უარი მიყვეს მკოლისთვის სახლის დაქირავებაზე და მე იძულებული ვიყავი მომეხსენებინა ამ საგანზე თფილისის გუბ. სახალხო სასწავლებლის დირექტორისათვის, რომლის მოწერილობის გამოც—დავიჭირე ორი ოთახი 24 ოკტომბერს, თვეშიდ 4 მ. და 50 კ. 24 ოკტომბრიდგან დაწყებული დირექტორის მოსელამდე სწავლობდა 12 შაგირდი.

„როცა ზედამხედველი წამოსულა, ამაყათა ქადაგებს თავისს საყვარელს ჭორებში ავტორი, ნაფ. შეგირდები თავ-თავის სახლში წასულან და დღესაც სასწავლებელი უქმათ არის.“

ზედამხედველის მყოფობის დროს ჩვენს სასწავლებელში ცოტა იყვნენ შეგირდები; ხოლო მეორე დღიდგან დირექტორის წასვლის შემდეგ დღემდის და დღესაც არიან 15 ვაჟი და 13 ქალი, რომლებთაც ყოველ დღე სწავლა აქვსთ და ეგრეთვე კვირა-უქმი დღეებში დილით ნახევარ საათი გალობის გაკვეთილები აქვსთ, რომლის შემდეგაც ეკლესიაში მიდიან წირვის მოსასმენათ.

რას იტყვით ამაზე, უ. „მეამბე“?

ჩვენ გვსურდა სუდის წესით პასუხი გეგოთ თქვენს რახა-რუხზე, მაგრამ კარგათ ვიცით, რომ პასუხათ თქვენ ამასა ბრძანებთ: მე ხომ ნამდვილი არ ვიცოდი, მხოლოდ ვილაც გლეხმა მიამბოვო და სხვა...

უკანასკნელ ამბობთ:

„ამის მოამბემ მითხრა, საზოგადოება ცდილობსო, რომ ხსენებული მასწავლებელი გარდაყენებული იყოსო და სხვა....“

შესაძლებელია ამასთან სხვაც გიანბოთ, მაგრამ თქვენ არ დაგიწერიათ, ან დაგიწყებიათ, რომელსაც ჩვენვე მოგაგონებთ: ხსენებულ მასწავლებელზე, გეტყოდათ თქვენ გლეხი, რომ საზოგადოებას არაეითარი წინააღმდეგობა არა აქვს; მაგრამ ერთი-ორიოდ ჩვენი საზოგადოების მოთავე ანუ უკეთესთქვათ,კეთილ საქმეების მოწინაღმდეგე პირები ცდილობენ და აბრიყვებენ ზოგიერთს—წინააღმდეგ მკოლისა და ბანკისა...

ნაფარეულის მასწავლებელი

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკ ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალია ავათყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი �ნანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რ ე მ ე რ ტ ი.

იმან დაისვენა: თურმე ნუ ბძანებ, ორმოარა ყოფილა წყლით სავსე ავდრისგან და მოჰკიდებია ქაფი და მე კი ქვა მეგონა! აი ამ ორმოში კი ჩავაგდე ის საცოდავი ბებერი! დაიწყო წყალმა ჩუხჩუხი ტკბილით სავსე ქვევრივითა...

×

ამ მეორე შემთხვევისათანავე გაუდექი გზას და საათის ორზე მივედი სოფელ ქავთიხევს, სადაც მყვანდა ნაცნობი. შემიყვანა თუ არა შინ, მაშინვე მოიტანა ეახშმათ პური და კარაქი.

მცირე ხნის შემდეგ გადუხადე მადლობა, მაგრამ თვალი კი კარაქზე დამრჩა და ამისთვის თვალი ვადევნე ქოთანს—თუ სად დაზდგამენ, რომ მომეპარა. მაგრამ ცუდათ ჩაიარა ჩემმა ფიქრმა; მიმიყვანეს თაროს ძირში, სადაც ის ქოთანი იდგა და იქ დამაწვინეს. ბანთიადი რომ შეიქნა ჩამოდგა მთვარის შუქი იმ მჭვარტლიან ბანიდამ, დაადგა ერთ გრგვალ თეთრ ქვას. ამ დროს გამომეღვიძა თუარა, ვსწდი იმ კარაქის ქოთანს და ჩავყავი ხელი ქოთანში, და შიგ კი გამეჭედა! ბევრი ვეხვეწე მელიასავით, მაგრამ მან არ მამეშვა; ავდექ მეც გაჯავრებულმა და ვთხლიშე იმ თეთრ ქვას, მაგრამ ისეთი ხმა კი არ ამოიღო, როგორც ქოთანი ქვაზე ამოიღებს ხოლმე.. მაშ რა იყო ეს! რა იყო და ბელატი კაცის თავი!

×

აი ეს იყო მესამე შემთხვევა. ამ საათშივე შეუდექი კიდევ გზას. ბათენებისას მივედი ახალქალაქს. აქ ვენახების ბოლოზე დამხვდა ერთი დედაკაცი წიწილ-კრუხით, რომელიც თან წინდასა ქსოვდა და თან წიწილებს დასდევდა. უკან მიველი და უთხარი:

— დედი, დედა-შვილობას მგზავრი ვარ და პურს ნუ დამიჭერ.

— რა ვქნა, შვილო, სახლი შორსა მაქვს და რა გიყო? მითხრა მან.

— ოლონც შენ პური მიშოვე და მე უყარაულებ წიწილ-კრუხს! უთხარი მე.

— მაშ კარგი, შვილო, ეს წინდაც აქ იყვეს, და წავიდა თითონ.

მანამ ის მოვიდოდა, მე საშინლათ შევწუხდი ამ წიწილ-კრუხის დევნით: ხან აქეთ გარბოდნენ და ხან იქით. აედექ, რომ არა მეშველა-რა, გავსწვიტე წინდის ძაფი და გადავაბი წიწილები მსხლის ჯაგანივით და გამოვაბი კრუხს ფეხზე. მე დავსწექ და დავიძინე... თურმე ნუ ბძანებ, ჩემ საუბედუროთ, აკი მოსულა ქორი და სწდომია კრუხს და მიაქვს მსხლის ჯაგანივით წიწილებიანათ! ეს რო დაუნახამს, მორბის ბებერი ჩემკენ; მოვიდა თუ არა, მესროლა ერთი მჭადი, რომელსაც მე დავავლე ხელი და გაუდექი ისევ გზას...

×

ამ მეოთხე შემთხვევის შემდეგ, მივედი სოფელს დოესს საათის თორმეტზე; გადავქერი ერთ ვენახში და ავედი ერთ მწიფს მსხალზე; ცოტა ხანს შემდეგ ამ მსხლის ქვეშ მოვიდნენ ერთი გძელ ჩოხიანი კაცი და ლამაზი ქალი; თანაც მოიტანეს კაი ეახშამი თავის ღვინით და დასხდნენ, სადაც პრასა ეთესა. ბადაუსვა ქალმა პრასას ხელი და უთხრა კაცსა:—არ გინდა ამისთანა ახალი თესლი პური მოგცა? კაცმა დაიმკლავა და უჩვენა მკლავი და უთხრა:—ამისთანაც თავთავი დაისხასო!.. მეც გავარხიე მსხალი და დაუძახე:—ამისთანა სეტყვა მოგვიდეთ და სუ წაგიხდინოთ-მეთქი! ამ ხმის გაგონებაზე წამოხტნენ და გაიქცნენ... საწყლებს ეახშამი შეუჭმელი დარჩათ; ჩამოვედი, კარგა გაძღები და იმათი სადღეგრძელო დავლიე...

ი. ს. დ.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ფაეტონის	დროჟკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან ½		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „	— „	1მან.50 „
—დამოქნამდინ—1 „	50 „	1 „ — „
—ქალაქ. ყველგან 1 „	— „	— „ 70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80 „	— „ 50 „
— ნავთლუღიდამ 1 „	50 „	1 „ — „
რკინის გზამდინ და		
უკან — — —1 „	30 „	— „ 90 „

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

განცხადებანი

იყიდება
უ. მართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ეშმაკის ხარო
მდაბიური ამბავი
ალ. ხა. მესხიევისა.
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფასი ერთი შაური

ვისაც ჰსურს თავის რ ქ ი ა ნ ი საქონელი და ღორები მარბებელი საკვებით ამოაჩინოს, შეუძლიან მიმართოს ბორჯომის არყის ზავოდში. (3—3)

მზით უნახავი ქალი—ლი ფანტ—ლითლ
თ ო რ მ ე ტ ნ ი თ ვ ე ნ ი
(ძველებური ამბავი)
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფასი ერთი შაური

გაკვეთილები

ფრანცუზულის ენისა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. გრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენზედ.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ქუთაისში, უფ. ზაქარია ქანდელაკის სადგომში.

მერმის, 1878 წელსა
(დაარსებიდამ მეთერთმეტესა)

სასოფლო გაზეთი

გამოვა იმგვარისვე პროგრამმით, როგორც აქამომდე გამოდიოდა, თვეში ორჯელ. „სასოფლო გაზეთს“ ექმნება შემდეგი ნაწილები:

I მმართებლობის განკარგულებანი, რომელნიც სოფლის მმართელობლობას შეეხებიან. II ამბები წვრილი: მოსავლისა, ამინდისა, მეურნეობისა, ვაჭრობისა, სნეულობის გაჩენისა, პურის მაღაზიებისა, სასოფლო ბანკებისა, შკოლისა და სხვა ამგვარის. III წერილები (კორრესპონდენციები) სოფლებიდამ გამოგზავნილი იმავე საგანზე, რაც მეორე ნაწილშია მოხსენებული. IV სამეურნეო ნაწილი: შემუშავება მინდორ-ვენახისა, ბაღ-ბოსტნისა; პირუტყვის მოშენება და მოვლა; აღებმიცემა და ვაჭრობა სასოფლო მოსავლისა. V საექიმო ნაწილი: წამლობა ავათმყოფობისა, სწავლა ადამიანის ჯანმრთელობისა. VI პირუტყვის წამლობა. VII სასოფლო შკოლა: მმართებლობის განკარგულებანი შკოლის შესახებ; სოფლის შკოლების მართვა, იმათი მდგომარეობა და გაუკეთესება. VIII სამეცნიერო ნაწილი: საზოგადოთ სასარგებლო ადვილათ გასაგონი ნაწერი სამეცნიერო სწავლიდამ. IX სალიტერატურო ნაწილი: მოკლე მოთხრობა, ამბავი, აღწერა და სხვა გასართობი და სასარგებლო საკითხავი. X განცხადებანი სავაჭრო და სხვა და სხვა.

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა—გაგზავნით ოთხი მანეთი, გაუგზავნელად სამი მანეთი; ნახევარის წლისა და სამის თვისა ამისავე მიხედვით.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „სასოფლო გაზეთის“ რედაქციაში, ანჩისხატის ეკლესიის პირ-და-პირ ხერხეულიძის სახლში.

ქალაქს გარეთ მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцiю „Сельской Газеты.“*

რედაქტორი და გამომცემელი პეტრე უმიკაშვილი.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
აბ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
აბ.-სენაკი .	—	—			1	18	-	66
სამტრედია .	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	[illegible]	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ.
პეტერბურგი, 7 იანვარს.		
ერთი ქაღალდის მანეთი ღირს:		
ლონდონში 23 პენსი.	—	78
პარიჟში 256 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	95	[illegible]
მოგებიანი (პირველის სესხ.)	229	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	226	5[illegible]
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.		—
ხერსონის ბანკი	85	25
მოსკოვის . .	85	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკასის და მერკური . .	225	—
პირვ. საზღვევ. საზ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 10 იანვარს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	2	20
ფქვილი წითელი . .	1	90
ქერი ფუთი . . .	1	45
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	50
— ამერიკისა, ფუთი . .	8	80
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	13	—
მატყლი თუშური ფუთ.	7	80
— ყარაქამისა ფუთ. .	4	70
აბრეშუმი ნუხური სტ.	1	90
ქონი, ფუთი. . .	4	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	80
სტეარინის სანთელი, ფ.	14	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	90
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროც. ფუთი .	9	20
— ფხვნილი ფუთი . .	8	80
ყავა გრგვალი, ფუთი .	—	75
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	14	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	20

Дозволено цензурою Тифлисъ, 11 Января 1878 г. Типографiя Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.